პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 25
(4275)

1971 წ.
6 თებერვალი.
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

სსრ კავშირის
ჩემპიონატები

● ●

კალათბურთის თორმეტი კაცი თამაშობს

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ასკ (რიგა) 94:82 (48:39).

მსაჯები: ი. ულიაშენკო და ი. გერასიმოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლიორები—88:75 (46:41).

დიახ, კალათბურთს 12 კაცი თამაშობს — ხუთი ძირითადი და შვიდი სათადარიგო, რომელთაგან თითოეული მოუთმენლად ელის თავის რიგს. მეცამეტე კაცი კალათბურთში დებულებით გაუთვალისწინებელია და ამიტომაც — უკანონოდ გამოცხადებული. თორმეტზე ნაკლები კი... როგორც გენებოთ. ეს მთლიანად მწვრთნელის სურვილზეა დამოკიდებული.

კალათბურთის თამაში თავიდან ბოლომდე ერთი ხუთეულითაც შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ეს ხუთეული უდანაკარგოდ გასწვდება მატჩისთვის განკუთვნილ 40 წუთს. კიევის „სტროიტელი", მაგალითად, კარგა ხანია ამ ტენდენციის ტყვეობაშია. იგი უხალისოდ მიმართავს მეექვსე ან მეშვიდე მოთამაშის დახმარებას და ყოველმხრივ ცდილობს ნაკლები ადგილი დაუთმოს ხუთ დანარჩენს. „სტროიტელის" გასაჭირი შემადგენლობის უთანაბრობაშია.

იდეალური ვარიანტი ასეთია: გაიმარჯვო კიდეც და მთელს შემადგენლობასაც მისცე თამაშის საშუალება. მეთერთმეტე და მეთორმეტე კალათბურთელს ყველაზე მეტად სჭირდებათ მოედანზე ყოფნა, უძლიერესებთან კონტაქტი, ვინაიდან ესაა მაღალი ოსტატობის დაუფლების ერთადერთი და სწორი გზა.

თბილისის „დინამომ" გუშინწინ თორმეტივე კალათბურთელს დაუთმო ასპარეზი. მას, რა თქმა უნდა, უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება, მაგრამ მაშინ „სტროიტელის" მსგავსად, ერთი ხუთეულით უნდა ეთამაშა, მწვრთნელმა სწორად გადაწყვიტა ამოცანა და გულიც არავის დასწყვიტა.

რიგის არმიელებს სატურნირო ცხრილის ერთ-ერთი ბოლო სტრიქონი უკავიათ, მაგრამ, ობიექტურად, გუშინწინდელი მატჩის მიხედვით ისინი გაცილებით უკეთეს ადგილს იმსახურებენ. შესაძლოა ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ არმიელებმა ამ ცოტა ხნის წინ ვეისმანის სახით ალმა-ათიდან საკმაოდ ძლიერი შევსება მიიღეს. ვეისმანი მოულოდნელად გუნდის სული და გული, მისი მთავარი არტერია და დამრტყმელი ძალა გახდა. ვეისმანმა თავის ახალ გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა (22) და ბევრი სხვა სარგებლობაც მოუტანა.

მაგრამ „დინამოს" ამ დღეს ერთი კი არა, ხუთი ვეისმანი ვერ აღუდგებოდა წინ. ეს ცხადი გახდა პირველივე წუთზე, პირველივე შეტევის შემდეგ, იმიტომ, რომ თბილისელთა მთავარი ძალა, მთავარი მექანიზმი შეუცდომლად მოქმედებდა ყველაზე საკვანძო მომენტებში; იმიტომ, რომ საკანდელიძის უბადლო ოსტატობით, აღფრთოვანებული თანაგუნდელები ნაცარტუტად აქცევდნენ ყველაფერს, რაც წინ ხვდებოდათ. თბილისელები სინქრონულად მოქმედებდნენ ყველა რგოლში, შეტევის წინა ხაზზეც და მას შემდეგაც, როცა იერიში სიმწვავეს კარგავდა. „დინამომ" კარგად შეუფარდა ერთმანეთს პოზიციური თამაში და ცეცხლოვანი შეტევები. იქ, სადაც ერთი ხერხი უძლური იყო, გუნდი მეორეს მიმართავდა და ამ ზუსტი მონაცვლეობით მუდამ დაძაბული ჰყავდა მეტოქე.

კამათი ყოველთვის შეიძლება, ასე გასინჯეთ, მოგების შემდეგაც კი. ზოგიერთმა გუშინწინდელ „დინამოს" პოზიციური თამაშისკენ ლტოლვა შენიშნა. პირადად მე თბილისელთა შეტევის ორგანიზაციამ მომხიბლა, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ გუნდში, სადაც საკანდელიძე, ჩიხლაძე, ქორქია და სხვა რეაქტიული „ფორვარდები" თამაშობენ, სადაც ტანმაღალი ცენტრებიც კი შეტევის ტენდენციებს ამჟღავნებენ, პოზიციური თამაში უნდა იყოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი იარაღი. „დინამოს" აფეთქების დიდი ძალა აქვს და როცა იგი თავის ვნებებს გასაქანს აძლევს — შეუდარებელია!

ნ. გუგუშვილი.

• • •



სურათზე: ბოლქვაძე და ვეისმანი ფარქვეშ ბრძოლის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 5 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	14	13	1	967—830	13
„ჟალგირისი" (კაუნასი)	15	11	4	1220—1146	11
ცსკა	13	10	3	1016—904	10
„სტროიტელი" (კიევი)	14	8	6	1008—963	8
„დინამო" (თბილისი)	14	8	6	1064—1092	8
„დინამო" (მოსკოვი)	14	7	7	1074—1042	7
„კალევი" (ტარტუ)	15	7	8	1172—1138	7
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	13	5	8	913—982	5
ასკ (კიევი)	15	5	10	1014—1080	5
ვეფ (რიგა)	14	4	10	1039—1135	4
ასკ (რიგა)	15	4	11	1041—1119	4
რტი (მინსკი)	14	3	11	914—1011	3

ლიდერები არ იცვლებიან

მოსკოვსა და ვილნიუსში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

მოსკოვის ჯგუფში წარმატებით იბრძვის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ლენინგრადის „სპარტაკი". პირველი ტურის გამარჯვებას მან კიდევ ორი დაუმატა: მოსკოვის „სპარტაკთან" (80:49) და მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან" (59:46), რითაც საგრძნობლად განიმტკიცა ლიდერის პოზიციები.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს კიევის „დინამოც". მართალია, პირველ ტურში იგი დამარცხდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან" (71:85), მაგრამ ორი მომდევნო შეხვედრა მოსკოვის გუნდებთან — „დინამოსთან" და „სერპ ი მოლოტთან" აღმავლობით ჩაატარა, რითაც 2 რიგითი ქულა აიღო (პირველი დაამარცხა ანგარიშით 84:75, მეორე — 86:70).

ვილნიუსის ჯგუფში მთავარი ფავორიტია რიგის ტტტ. მეორე კალენდარულ მატჩში ლატვიელებმა სძლიეს სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 80:43, მესამეში — ადგილობრივ „კიბირკშტისს" — 60:54.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვის ჯგუფი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 84:71, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 83:64, „დინამო" (მოსკოვი)— „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 76:54. ვილნიუსის ჯგუფი. „კიბირკშტისი" (ვილნიუსი)— „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი") 61:47, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 56:54, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 63:39, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 60:42, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 57:51, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 64:61.

ტტტ-ს მეტოქეები

ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ამ პრიზის ახლანდელი მფლობელის — რიგის ტტტ-ს მეტოქეებმა საფრანგეთში ითამაშეს: „კლერმონ ფერანმა" ანგარიშით 47:44 სძლია პრაღის „სლავიას". პრაღაში ამ გუნდების პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 72:72.

ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში იყო

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ტარტუ. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „კალევისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" მატჩის პირველი ნახევარი. მასპინძლების უპირატესობა შესვენების წინ მხოლოდ ქულით განისაზღვრებოდა — 39:38. მეორე ტაიმში „კალევმა" ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა — 76:60.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" მოსკოვის „დინამოს" უმასპინძლა. უკრაინელმა კალათბურთელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 92:71.

საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე

ციურიხი, 5 თებერვალი. აქ დიდ ინტერესს იწვევს ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. წყვილთა სრიალი საბჭოთა სპორტსმენების სრული გამარჯვებით აღინიშნა — საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ამ ქვეყნის წარმომადგენლები დადგნენ.

ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა, რომლებმაც 421,1 ქულა დააგროვეს (ადგილების მინიმალური ჯამი — 9). ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონებმა მესამედ მოიხვეჭეს ევროპის ჩემპიონთა წოდება.

ისევე როგორც შარშან, ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი — 416,7 ქულა (ადგილების ჯამი — 18).

ბრინჯაოს მედლები პირველად მოიპოვეს მოსკოველებმა გ. კარელინამ და გ. პროსკურინმა — 404,2 (31).

სპორტულ ცეკვებში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები, მოსკოველები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

ქალთა სავალდებულო პროგრამით შეჯიბრებაში სამი ფიგურის შემდეგ დაწინაურდა „სკოლის" საუკეთესო შემსრულებელი, ავსტრიელი ბ. შუბა. ჯერჯერობით II ადგილზეა უნგრელი ჟ. ალმაში.

• • •

სურათზე: საპატიო კვარცხლბეკი მთლიანად საბჭოთა წყვილებმა დაიკავეს. მარცხნიდან — ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, ი. როდნინა და ა. ულანოვი, გ. კარელინა და გ. პროსკურინი.

საკდესის ტელეფოტო.

საგზაო საბჭოს კონფერენციაზე

ზედიზედ მეექვსედ

გაიმართა „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს IV კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე თ. კაჭახიძე.

საგზაო საბჭო 209 ფიზკულტურულ კოლექტივს აერთიანებს. გზის მუშამოსამსახურეთა 50 პროცენტზე მეტი სპორტული საზოგადოების წევრი და ფიზკულტურელია. საანგარიშო პერიოდში მომზადდა 32 სპორტის ოსტატი (გეგმა — 22), 465 პირველთანრიგოსანი და ოსტატობის კანდიდატი (385). დაბალი თანრიგის სპორტსმენთა, ნიჩბოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების თვითვალდებულებები ორმაგადაა განაღდებული.

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის და ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისთვის საგზაო საბჭო ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, სპორტკლუბი „თბომავალი" კი ვიმპელითა და ჟეტონით.

საქართველოს პროფკავშირთა V სპარტაკიადაში რკინიგზელმა სპორტსმენებმა 39 პირველი, 49 მეორე და 56 მესამე ადგილი დაისაკუთრეს. სპარტაკიადისთვის კარგად იყვნენ მომზადებული წყალბურთელები, ნიჩბოსნები და მესტენდურეები. პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს დელეგაციაში 50 რკინიგზელი სპორტსმენი შედიოდა. ცენტრალური საბჭოსა და რკინიგზელ სპორტსმენთა საერთაშორისო სპორტული კავშირის პირველობებში მოხვეჭილია ოქროს 11 და ვერცხლის 5 მედალი.

საზოგადოების სპორტსმენთა საერთო წარმატებებში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს თბილისისა და სამტრედიის რაიონულმა საბჭოებმა, რომელთა სპორტსმენებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მძლეოსანი ვ. ქუთათელაძე, მესტენდურეები ზ. მაჩხანელი და ვ. ალავერდოვი, მოჭიდავეები ა. ჯიბლაძე, გ. ყვარელაშვილი, გ. მუზაევი, წყალბურთელები ბ. მარგიევი, ზ. ჩუბინიძე, ჯ. თორთლაძე, ნ. შამკინი. ვ. როსტიაშვილი, გ. ნასყიდაშვილი, ი. ბუზიაშვილი და ო. მარეხაშვილი სსრ კავშირის საბაიდარო სლალომის ოლიმპიურ ნაკრებში არიან შეყვანილი. საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ჩარიცხულია 7 სახეობის 20 წარმომადგენელი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მთლიანად ელექტროწევაზე გადასვლით პრაქტიკაში ინერგება ახალი რთული ტექნიკა, მაღლდება მატარებლების სიჩქარე. რკინიგზელებისთვის ამიტომაც განსაკუთრებით საჭიროა კარგი ფიზიკური მომზადება, ჯანმრთელობის განმტკიცება, ნებისყოფის, სიფხიზლისა და სწრაფი ორიენტირების უნარის გამომუშავება. სპორტულ სექციებში, საწარმოო ტანვარჯიშში და სხვა მასობრივ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში რკინიგზელთა მიზიდვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტრავმატიზმისა და ავადმყოფობის შემთხვევები. ამაღლდა შრომისნაყოფიერება. თბილისის ელმავალშემკეთებელი ქარხნისა და სამტრედიის სავაგონო დეპოს ბევრი საუკეთესო ფიზკულტურელი შრომაშიც მოწინავეა და კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელსაც ატარებს. ამ ბოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზკულტურის სავანძო საბჭოების ქსელის გაფართოებას, რომელშიც თავს იყრიან მცირერიცხოვანი კოლექტივები. ფიზკულტურა და სპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება.

მომხსენებელმა მოწინავე კოლექტივებიდან დაასახელა თბილისის სავაგონო დეპო, თბილგვირაბმშენი, ქუთაისის, სამტრედიისა და ხაშურის სალოკომოტივო დეპოები. ითქვა ისიც, რომ საერთო წინსვლაში დიდია საზოგადოებრივი კადრების დამსახურება. მათი რიცხვი ამჟამად 5 ათასს აღწევს. თბილისელებმა ე. მანჩხავამ და ვ. შილაკაძემ, ბათუმელმა ა. ბუდანოვმა, სამტრედიელმა ჯ. ხაჟალიამ, ბორჯომელმა ლ. ლომიძემ და სხვებმა თავიანთ კოლექტივებში მაღალი თანრიგების სპორტსმენებიც კი მოამზადეს. ადგილებზე სპორტის პროპაგანდას ხელს უწყობს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება. კოლექტივებში გამოდის სპორტული კედლის გაზეთები, ეწყობა ფოტოსტენდები, ტარდება საჩვენებელი და ამხანაგური შეხვედრები.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო სპორტული ბაზების საკითხს: მან თქვა, რომ ქუთაისში დამთავრდა საკავშირო მნიშვნელობის მძლეოსნური მანეჟის მოწყობა, სამტრედიაში აიგო სპორტდარბაზი, კაპიტალურად შეკეთდა თბილისის სტადიონი, მძლეოსნური ბილიკები შეიცვალა ახალი საფარით, კეთილმოეწყო სექტორები. დაიდგა სტენდი მშვილდოსნობისთვის, მიმდინარეობს ახალი გასახდელებისა და 50-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა, ორთაჭალის აუზზე გაკეთდა დახურული გასასვლელი, სამტრედიაში მალე დამთავრდება სტადიონის რეკონსტრუქცია, თბილისში, ხაშურში, ლენინაკანში და ერევანში შეკეთდა დარბაზები...

მოხსენებაში დაუფარავად იყო მხილებული ნაკლოვანებებიც. აღინიშნა ზოგიერთი ფიზკულტურული კოლექტივის სუსტი მუშაობა. № 131 სამშენებლო სამმართველოში საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. მეთოდისტი ნ. კოკიაშვილი სხვა დავალებებითაა დაკავებული. ცუდად მუშაობენ მეტრომშენის, № 213 სამშენებლო მატარებლის, მშენებლობებისა და ნაგებობების თბილისის № 4 სამშენებლო სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივები. ბევრგან არ იყენებენ საზოგადოებრივ აქტივს, არ ზრუნავენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. იშვიათად ეწყობა ჯანმრთელობის სპარტაკიადები, ტურისტული ლაშქრობები. ნაკლებია ჯანმრთელობის ჯგუფების რიცხვი.

ფოთში, ბათუმში, ზესტაფონში, ერევანსა და კიროვაკანში მაღალი თანრიგების სპორტსმენთა მომზადებას ბაზების უქონლობა აფერხებს, სამტრედიის განყოფილებაში, კარგი პირობების მიუხედავად, დღემდე ვერ დაინერგა საბაიდარო სლალომი.

შეიმჩნევა ნაკლოვანებები აღმზრდელობით მუშაობაშიც. ჯერ კიდევ გვხვდება უდისციპლინობის ფაქტები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მძლეოსნობაში **ვ. სუხოტინმა**, თბილისის, ერევნისა და სამტრედიის რაისაბჭოების თავმჯდომარეებმა **მ. ბალდასაროვმა, ვ. მირონოვმა** და **ი. სტურუამ**, მწვრთნელმა ნიჩბოსნობაში **კ. მარეხაშვილმა**, სპორტკლუბ „თბომავლის" თავმჯდომარემ **ნ. ზივზივაძემ**, რკინიგზის სასკოლო განყოფილების ინსტრუქტორმა **ნ. ვარდოსანიძემ**, საცურაო აუზის დირექტორმა **ო. ახობაძემ**, საგზაო საბჭოს სასწავლო-სპორტული მუშაობის გამგემ **ა. გიორგობიანმა**, „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. სოლომატინმა**.

საგზაო საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა კვლავ თ. კაჭახიძე აირჩია.

აქტიური დასვენების როლი

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ი. სეჩენოვმა დაასაბუთა, რომ დასვენება ყოველთვის მარტო მყუდროებაში ყოფნას როდი ნიშნავს, რომ ხანგრძლივი გონებრივი და ფიზიკური მუშაობის შემდეგ შრომისუნარიანობის აღდგენას, დაღლილობის გაქრობას ხელს უწყობს არა მოსვენება, არამედ სპეციალურად ჩატარებული მოძრაობები. სეჩენოვის აღმოჩენილ ამ გზას შემდგომში „აქტიური დასვენება" ეწოდა.

აკადემიკოსმა ი. პავლოვმა დაასაბუთა რა დიდ როლს თამაშობს მუშაობისა და დასვენების პერიოდების სწორი მონაცვლეობა შრომისუნარიანობის გახანგრძლივებასა და მაღალ დონეზე შენარჩუნებაში. მისი დებულებით, თავის ტვინის გარკვეული უჯრედების ხანგრძლივი აღგზნება შრომისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს, მაგრამ იგი საკმაოდ მალე აღდგება, თუ მუშაობის ხასიათს შევცვლით და დატვირთვას ტვინის სხვა უჯრედებზე გადავიტანთ.

ამრიგად, საქმიანობის ერთი სახეობის მეორეთი შეცვლა ხელს უწყობს თავის ტვინის ხანგრძლივად მომუშავე უჯრედების დასვენებას.

სათანადო გამოკვლევებით დადგენილია, რომ სკოლებში არსებული შრომისა და დასვენების რეჟიმის შედეგად მოსწავლეთა შრომისუნარიანობა სამუშაო დღისა და კვირის დასასრულს ეცემა, მოსწრება კი წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე 7-9 პროცენტით იკლებს.

ამავე დროს, სკოლებში ჩატარებული გამოკვლევები (ს. გალპერინი, ე. კრივიცკაია, ვ. სლესარი, მ. ანტროპოვა და სხვ.) ადასტურებენ, რომ მოსწავლეთა შრომისუნარიანობა დღის განმავლობაში იცვლება გაკვეთილებს შორის აქტიური დასვენების ხასიათისა და შინაარსის მიხედვით. იგი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ფართოდ გამოვიყენებთ დასვენებისას ემოციურ თამაშობებსა და ვარჯიშებს. სეჩენოვის განსაზღვრით, ამ შემთხვევაში ხდება „ნერვული ცენტრების ენერგიით დამუხტვა", რაც მოსწავლის შრომისუნარიანობას საგრძნობლად ზრდის, მით უფრო, თუ დასვენება ჰაერზე ჩატარდა.

გაირკვა, რომ ემოციური აქტიური დასვენება ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივი შრომისუნარიანობის ზრდას, რომელიც ასეთი დასვენების შედეგად არა თუ ქვეითდება, ზოგიერთ შემთხვევაში დღის ბოლოს იზრდება კიდეც.

ამ შემთხვევაში საჭიროა გვახსოვდეს, რომ გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვაც მავნეა ბავშვისთვის. ეს კი არ გააქრობს დაღლას, არამედ გააძლიერებს მას. აქედან გამომდინარე, აქტიური დასვენება, როგორც დაღლასთან ბრძოლის მაღალეფექტური ფორმა, სკოლებში უნდა გამოვიყენოთ სათანადო რეგულაციის გათვალისწინებით.

აქ არ შევჩერდებით თამაშობათა ჩატარების ხერხებზე, დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული შენიშვნით:

1. დასვენებისას გამოსაყენებელი თამაშობა-ვარჯიშები უნდა შეირჩეს მოსწავლეთა ასაკის, განწყობილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. თამაშობაში ბლომად უნდა იყოს ჩართული ბავშვის მიერ ადრევე ათვისებული მოძრაობანი.

2. თამაშობა-ვარჯიშები უნდა ჩატარდეს ცოცხლად, ემოციურად, რაც ბავშვს დადებით განწყობას შეუქმნის.

3. თუ ტარდება რამდენიმე თამაშობა, მათ შორის ბოლო შედარებით უფრო მშვიდი უნდა იყოს.

4. ბავშვებმა ზარის დარეკვისთანავე უნდა შეწყვიტონ თამაშობა და ორგანიზებულად შევიდნენ კლასში.

სანიმუშოდ ვიძლევით შესვენების დროს I-IV კლასებში ჩასატარებლად შერჩეულ რამდენიმე თამაშობას.

თამაშობანი I-II კლასის მოსწავლეთათვის

„ბაყაყაობა"

სათამაშო ადგილზე შემოიხაზება წრე. მისგან 10-12 ნაბიჯის დაცილებით აღინიშნება ბინა. მოთამაშენი ორ თანაბარ გუნდად გაიყოფიან, ერთი გუნდის მოთამაშენი, რომლებიც „ბაყაყები" არიან, წრეში ოთხით დახტიან და ყიყინებენ, თავზე ქუდები ახურავთ. მეორე გუნდის მოთამაშენი ნებისმიერად მოეწყობიან წრის ხაზის გარეთ, ცდილობენ მოხერხებული მოძრაობებით მოხსნან „ბაყაყს" ქუდი და ჩაუჭრელად მიიტანონ ბინაზე. ქუდის გამტაცებელს დაედევნება ქუდმოხდილი „ბაყაყი", რომელმაც ქუდის დასაბრუნებლად უნდა ჩაჭრას მოწინააღმდეგე (შეეხოს მას ხელით).

ბინაზე ჩაუჭრელად მიტანილი ქუდი გუნდს ანიჭებს მოგებას, ისევე, როგორც ქუდის დაბრუნებით „ბაყაყების" გუნდი იმარჯვებს.

ასკინკილა

სათამაშო მოედანზე აღინიშნება ორი ხაზი (სტარტის და ფინიშისა), რომელთა შორის მანძილი 10-15 ნაბიჯი უნდა იყოს.

ორ გუნდად გაყოფილი მოთამაშენი სტარტთან მოეწყობიან. სათანადო ნიშნის შემდეგ ორივე გუნდის პირველი მოთამაშეები იწყებენ ასკინკილათი სვლას ფინიშის ხაზისკენ. ფინიშზე მისვლისთანავე ისინი გაიმართებიან, სირბილით ბრუნდებიან უკან და ადგილს იჭერენ უკანასკნელი მოთამაშის ზურგს უკან. ყოველი წინა მოთამაშის დაბრუნებისთანავე თამაშს იწყებს მორიგი მოთამაშე.

მოგებულია ის გუნდი, რომლის მოთამაშენიც უფრო ადრე დაამთავრებენ თამაშს.

თარჩია

სათამაშო მოედანზე გატარდება ორი ხაზი (სტარტის და ფინიშისა), რომელთა შორის მანძილი ადრევე დაითქმება.

თამაშობაში ორი გუნდი მონაწილეობს. ერთი გუნდის წევრები, რომელთაც ალმები (ბურთები) უჭირავთ ხელში, სტარტის ხაზიდან 5-6 ნაბიჯის დაცილებით მოეწყობიან, მეორე გუნდისა — სტარტის ხაზზე.

სათანადო ნიშნის შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშენი გარბიან ფინიშის ხაზისკენ, მეორე გუნდის მოთამაშენი მოწინააღმდეგეთ დაედევნებიან და ცდილობენ ჩამოართვან მათ ალმები (მოთამაშემ ალამი უნდა გადასცეს მოწინააღმდეგეს, თუ უკანასკნელი მას ხელით შეეხო). ალმის დამკარგავს შეუძლია დაედევნოს გამტაცებელს და დაიბრუნოს იგი.

გამარჯვებულია გუნდი, რომელიც ფინიშზე მეტ ალამს მიიტანს.

თამაშობანი III-IV კლასის მოსწავლეთათვის

ფარიკაობა

მოედანზე შემოიხაზება ორი, ერთიმეორისგან 50-60 სმ-ით დაცილებული წრე, რომელთა დიამეტრი 50 სმ-ს უდრის. ამ წრეების შიგნით კიდევ სამი წრეა შემოხაზული — პირველის დიამეტრია 8 სმ, მეორესი — 12 და მესამესი — 16 სმ.

მოთამაშენი ორ თანაბარ გუნდად გაიყოფიან. მოთამაშეთა თითო წყვილს (მოწინააღმდეგეთ), რომლებიც ერთიმეორის პირდაპირ წრეხაზს გარეთ დგანან, ხელში თითო მეტრის სიგრძის ჯოხები უკავიათ. ყოველი მოთამაშის მიზანია იერიში მიიტანოს მეტოქეზე, აიცდინოს მისი ჯოხი, თავისი ჯოხის წვერით შეეხოს მოწინააღმდეგის წრის ცენტრს. ამავე დროს მან უნდა დაიცვას თავისი წრე მოპირდაპირის იერიშისგან.

წყვილთა შორის თამაში წყდება, თუ ერთ-ერთი მათგანი გაიმარჯვებს.

ჯოხის წვერით მოპირდაპირე რომელიმე წრის შეხება ანიჭებს გუნდს მოგებიან ქულას: თუ ჯოხი შეეხო პატარა წრეს — გუნდს დაეწერება 3 ქულა; პირველი და მეორე წრეხაზებს შორის მოქცეული მანძილის შეხებისას — 2 ქულა; მეორე და მესამე წრეხაზებს შორის მოქცეული მანძილის შეხებისას — 1 ქულა.

გამარჯვებულია გუნდი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს.

ქუდის აღება

სათამაშო მოედანს სიგრძეზე ორად გაყოფენ, ორივე მხარეს თავსა და ბოლოში ჩაასობენ ჯოხებს, რომელთა შორის მანძილი 12-15 მეტრი უნდა იყოს. მოედნის ერთ-ერთ ბოლოში ჩასობილი ჯოხებიდან 2-3 მეტრის დაცილებით მოთავსდებიან გუნდების მოთამაშენი, მოპირდაპირე ჯოხებზე კი ქუდები უნდა ჩამოაცვან.

სათანადო ნიშნის შემდეგ ორივე გუნდის დამწყები მოთამაშეები მიირბენენ თავიანთ მხარეზე ჩასობილ ჯოხთან, შემოურბენენ მას და გარბიან მოედნის მეორე ბოლოსკენ. აქაც ჯოხის შემოვლის შემდეგ მოხსნიან მას ქუდს, რომელიც პირველ ჯოხზე უნდა ჩამოაცვან. თვითონ კი, შეეხებიან რა ხელით მორიგ მოთამაშეს, ამოუდგებიან ზურგს უკან ბოლო მოთამაშეს. ხელის შეხებისთანავე მორიგი მოთამაშე გარბის, პირველი ჯოხის შემორბენის შემდეგ მოხსნის მას ქუდს, რომელსაც ტოვებს მეორე ჯოხზე.

ამ წესით გაითამაშებს ყველა.

გამარჯვებულია გუნდი, რომლის წევრებიც უფრო ადრე დაამთავრებენ თამაშს.

ჯოხისტაციობა

მოთამაშენი ორ თანაბარ გუნდად გაიყოფიან, რომლებიც ერთიმეორისგან 6-8 მეტრის დაცილებით ამოუდგებიან ერთმანეთს ზურგს უკან. პირველ მოთამაშეთა ფეხების წინ გაივლება ხაზი. მათგან 3-4 მეტრის დაშორებით ჩაასობენ (დადებენ) ჯოხს (ჯოხი შეიძლება შეიცვალოს ბურთით ან სხვა რომელიმე სათამაშო ინვენტარით).

სათანადო ნიშნის შემდეგ ორივე გუნდის დამწყები მოთამაშეები მიირბენენ თავიანთ ჯოხთან, შემოურბენენ მას გარშემო, შემდეგ გაურბენენ ზურგს უკან ჯერ თავის, შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებს, მიირბენენ მოწინააღმდეგე გუნდის ჯოხთან, რომლის შემორბენის შემდეგ აიღებენ მას, გაურბენენ წინ ორივე გუნდს და „მოტაცებულ" ჯოხს დატოვებენ თავიანთი გატაცებული ჯოხის მაგიერ. ამის შემდეგ დაბრუნდებიან და ამოუდგებიან ზურგს უკან თავიანთი გუნდის ბოლო მოთამაშეს. თამაშს გუნდის მორიგი წევრი განაგრძობს.

გამარჯვებულია გუნდი, რომლის წევრებიც უფრო ადრე დაამთავრებენ თამაშს.

ნ. შიშნიაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ტურისტთა ჯგუფმა შარშან ზაფხულში ბევრი საინტერესო ლაშქრობა მოაწყო — ხარისთვალაზე, შაორის ზღვაზე, საჩხერეში, სათაფლიაზე, გელათში... შარშანდელი წლის მიწურულს კი ქარხნის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების თაოსნობით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს სამდღიანი ტურისტული ლაშქრობა ხვამლის მთაზე. ლაშქრობაში მონაწილეობდა 50-მდე მუშა-მოსამსახურე.

ხვამლის მთის იერიში მოლაშქრეებმა მექვენიდან კოკისპირულ წვიმასა და ქარში დაიწყეს. ავდარი სიფხიზლეს უმახვილებდა ტურისტებს. 4 საათის შემდეგ მივადექით წიწვოვან ტყეს, რომლის გავლა ორმაგად გაჭირდა. ღამე ტყეში გავათიეთ.

მეორე დღეს დილაადრიან ავშალეთ კარვები და გადამწყვეტ იერიშისთვის გავემზადეთ. გამოიდარა. დღის 12 საათისთვის უკვე ხვამლის მთის ძირში ვიყავით. პატარა შესვენების შემდეგ დავიწყეთ მთის იერიში. თეთრ სამოსელში გამოწყობილ მთის კიდეებს შეუპოვრად ვებრძოდით. რაც უფრო მაღლა მივიწევდით, თოვლის საფარველიც ხშირდებოდა. საღამოს 5 საათისთვის მთა დაპყრობილი იყო.

საღამოს სოფელ ლაზეფაში წოვვისწრო. მეორე დილით სოფელ ტვიშში ჩავედით, იქიდან კი მანქანით გამოვემგზავრეთ მშობლიური ქალაქისკენ.

ლ. ფაჩუაშვილი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი,
ტურიზმის ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: ლაშქრობის მომენტი.

ავტორის ფოტო.

თოვლი „გრაფიკით“

ბაკურიანი, 5 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სათხილამურო რბოლებში საბჭოთა კავშირის თასზე ასპარეზობის მოწყობა წლეულსაც ბაკურიანში გადაწყდა. ეს სეზონი საპოროს თეთრი ოლიმპიადისთვის მზადების ბოლო ეტაპია და ამიტომ საკავშირო ფედერაციას, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების ხელმძღვანელებს სურდათ ისევ აქ გამოეცადათ სპორტსმენთა მზადყოფნა.

საკავშირო თასზე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ყველაზე ადრე „ტრუდისა“ და „ინბეკის“ გუნდები ჩამოვიდნენ. ბაკურიანის თასის გათამაშებაში კი, რომელიც საკავშირო ასპარეზობის სტარტამდე სამი დღით ადრე მოეწყო, უკვე ფავორიტთა უპირატესობა იყო ჩანმული. გუშინწინ მხოლოდ ცნობილი ესტონელი სპორტის ოსტატი ი. მიაგარი ჩამოვიდა, ერთი დღით ადრე კი ასევე ცნობილი მოსკოველი ოსტატი გ. პილიუშენკო. ისინი სწორედ ამ დაგვიანებისთვის დაისაჯნენ: გუშინ 5 კმ-ზე რბოლაში შესაბამისად VIII და IV ადგილები დაისაკუთრეს.

საკავშირო თასის გათამაშებას ქვეყნის ნაკრების რამდენიმე წევრი აკლდა. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონები, საკავშირო თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებულნი გ. კულაკოვა და ვ. ვედენინი, მსოფლიო ჩემპიონები ა. ოლიუნინა, ნ. ფიოდოროვა, ფ. სინაშოვი, აგრეთვე, ახალგაზრდა ნიჭიერი მორბენალი ი. სკობოვი საპოროში არიან, სადაც წინაოლიმპიური კვირეული ტარდება.

მიუხედავად ამისა, ბრძოლის დაძაბულობა ოდნავაც არ შენელებულა.

...ბაკურიანს წლეულს თოვლი აკლია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე გამართული „მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო ტურნირის წინ კი, როგორც აქ ხუმრობით ამბობენ, ზუსტად გრაფიკით მოთოვა. მერე ორ კვირაზე მეტ ხანს კვლავ მზე აცხუნებდა, ახლა, ამ შეჯიბრების წინ კი ისევ „გრაფიკით“ მოვიდა თოვლი.

თასის გათამაშების ამ გადამწყვეტ ეტაპზე ბრძოლაში მონაწილეობდნენ ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი და... მასპინძლები. საქართველოს მოთხილამურეებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება არ მოუპოვებიათ, მაგრამ სტარტზე უკონკურსოდ გამოვიდნენ.

ამრიგად, ჯილდოსთვის იბრძოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, ესტონეთის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და უკრაინის კოლექტივები. უკრაინელებს სრული გუნდი არ ჩამოუყვანიათ. მათი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდა ორი ქალი — ტერნოპოლელი სპორტის ოსტატი ი. ვლადიმიროვა („ავანგარდი“) და სუმელი ოსტატი ნ. რომანკო („დინამო“).

რომანკომ ჯერ ბაკურიანის პრიზის გათამაშებაში აჯობა ყველას (20.19,0), ახლა კი იმავე 5-კილომეტრიან დისტანციაზე 19.51,0 აჩვენა და მხოლოდ ვლადიმიროვას (19.40,0) ჩამორჩა. ამ ორმა სპორტსმენმა 64 ქულა მოიპოვა, რის წყალობითაც უკრაინის კოლექტივი პირველი დღის შემდეგ საერთო III ადგილზეა. უკრაინელებს ფეხდაფეხ მიჰყვნენ მოსკოველები, სპორტის ოსტატები ო. ჩიმეზოვა („ზენიტი“) — 19.54,0, და გ. პილიუშენკო (ცსკა) — 19.55,0.

მოასპარეზე ქალთა შედეგების სიმჭიდროვეს (ისინი სტარტს ცალ-ცალკე, 30-წამიანი შუალედით იღებდნენ) ისიც მოწმობს, რომ გამარჯვებულსა და ბოლო ადგილზე გასულს შორის დროში განსხვავება მხოლოდ 2 წუთი იყო (სტარტზე 52 ქალი გამოვიდა).

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ტურნირმა ვერც ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენი ვერ გამოავლინა, ვაჟთა შეჯიბრებაში კი, რომლებმაც ამ დღეს 15 კმ-ზე რბოლა გამართეს, სულ სხვა სურათი იყო.

შეჯიბრების ტრასა დიდველზე მოეწყო. დისტანცია მეტად რთული იყო, მაგრამ სპორტსმენებმა ეს დაბრკოლებად არ მიიჩნიეს. რბოლას ახალგაზრდები აძლევდნენ ტონს. უფრო გამოცდილ მოთხილამურეებსა და ვეტერანებს ისღა დარჩენოდათ, რომ გამოწვევა მიეღოთ. მე-13 კილომეტრის შემდეგ რბოლის ლიდერი სწორედ ახალგაზრდების რაზმის წარმომადგენელი ა. მაქსიმოვი (მოსკოვი, „ლოკომოტივი“) გახდა.

ამ დისტანციაზე გამარჯვებისთვის 76 მოთხილამურე იბრძოდა. თავდაპირველად სტარტი აიღეს უკონკურსოდ მოასპარეზეებმა, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს სპორტსმენები ი. ნასყიდაშვილი, მ. გაზაკოვი, ლ. სოლოიანი და ა. მაკიევი. შემდეგ მათ უძლიერესთა ჯგუფი გაჰყვა.

13 წუთის შემდეგ ფინიშთან უკვე მივიდა პირველი მონაწილე. მას მიჰყვა მეორე, მესამე...

მოსკოვის დინამოელი სპორტის ოსტატის, 29 წლის ა. ნასედკინის შედეგი (51.35,0) ორიენტირი გახდა. ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება კარგა ხანს ვერავინ შეძლო, შემდეგ კი ნასედკინს 28 წლის სპორტის საპატიო ოსტატმა ნ. ტერებოვმა (რსფსრ, „სპარტაკი“) აჯობა — 51.28,0, ტერებოვს — ვეტერანმა, 34 წლის ოსტატმა ბ. გიზატულინმა (რსფსრ, „ტრუდი“) — 51.22,0. ამ უკანასკნელს გ. ილინმა (რსფსრ, „სპარტაკი“ 51.10,0) გაუსწრო, ილინი კი მაქსიმოვმა დაამარცხა (50.52,0).

რბოლის დამთავრებას თითქოს არაფერი აკლდა და გამარჯვებას ყველა ახალგაზრდა მაქსიმოვს ულოცავდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, სპორტის ოსტატმა ა. კულეგოვმა მაქსიმოვს სულ რაღაც 8 წამით აჯობა და I ადგილის დასაკუთრებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

საკავშირო სათხილამურო ფედერაციის წევრები დიდად გაახარა, აგრეთვე, 20 წლის ალმაათელი ე. სუსლოვისა და 21 წლის გორკელი გ. კურენკოვის წარმატებამ, რომელთაც უძლიერესთა ათეულში დაიმკვიდრეს ადგილები.

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ნასყიდაშვილი—57.23,0. კაზაკოვი მას 6 წამით ჩამორჩა. სოლოიანის შედეგია 59.22,0, მაკიევისა — 1:02.38,0.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ მოსკოვი, ლენინგრადი, უკრაინა, „დინამო“, „ტრუდი“, „ზენიტი“.

დღეს დასვენების დღეა. 6 იანვარს, ქალები 10, ხოლო ვაჟები 30 კმ-ზე რბენაში გამართავენ შეჯიბრებას.

ო. გელაშვილი.

ერთი ტურნირის აქ-იქ ამბები

გურჯაანში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი ტარდება. ამ შეჯიბრების აფიშა ვერც სადგურზე ვნახეთ, ვერც ცენტრში — ალაზნის პროსპექტზე. მივაკითხეთ სასტუმრო „გურჯაანს“. მოჭადრაკეებიც იქ დაგვხვდნენ და ...ნახევარფინალიც.

— დიახ, სასტუმროს მესამე სართულის ვესტიბიულში ვთამაშობთ, — გვითხრა ტურნირის მთავარმა არბიტრმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ა. დავლიანიძემ (თბილისი). — პირველად პიონერთა სახლის ერთ-ერთი მოზრდილი ოთახი შემოგვთავაზეს, მაგრამ იგი ცუდად თბებოდა და მაყურებლებისთვისაც მოუხერხებელი იყო. მერე გვიჩვენეს კულტურის სახლი, მაგრამ იქაც ძალიან ციოდა. ყველაზე გამოსადეგი სასტუმროს ვესტიბიული აღმოჩნდა, თუმცა აქ ათიოდე მაყურებელი თუ ეტევა.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჭუჭულაშვილმაც გვითხრა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ტურნირის ორგანიზაციას სხვა მხრივაც აქვს ხარვეზები.

როცა მსგავს ტურნირს რაიონულ ცენტრში ატარებს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას პირველ ყოვლისა ამ ბრძნული თამაშის პროპაგანდა აქვს მიზნად დასახული. გურჯაანში პირველად დაინიშნა ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირი, მაგრამ როგორ შეხვდნენ აქ მოჭადრაკეებს?

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რაიონული გაზეთი „ლენინის გზით“ მხოლოდ ერთ ინფორმაციას დასჯერდა 18 დღის მანძილზე, აფიშა მხოლოდ ერთხელ გაიკრა — ნახევარფინალის დაწყებისას. პიონერებთან, მოსწავლეებთან, კოლმეურნეებთან და მუშებთან მოჭადრაკეებს შეხვედრები არ ჰქონიათ.

— ერთმა გურჯაანელმა მეგობარმა სოფელ ძირკოკში მიგვიწვია. იქ, სოფლის კლუბში, კოლმეურნეებს ჭადრაკის თამაში გაეჩაღებინათ. არ იცოდნენ, ვინ ვიყავით. თამაში შემოგვთავაზეს. ვეთამაშეთ. ჩვენი ვინაობა რომ შეიტყვეს, გაეხარდათ: რა კარგი ქნენით, ერთხელ მაინც რომ ჩამოხვედითო, — გვიამბეს მოჭადრაკეებმა.

ნახევარფინალური ტურნირის 17 მონაწილემ მძაფრი ბრძოლა გააჩაღა ფინალის 3 საგზურისთვის. ტურნირი ბევრმა დაიწყო წაგებით, მაგრამ მხოლოდ დ. კველიშვილმა (ქარელი) და გ. მთვარელიძემ (გორის რაიონი) მიატოვეს შეჯიბრება. ჭადრაკის ფედერაცია იმსჯელებს მათს არასპორტულ საქციელზე, — თქვა საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა ჭადრაკში რ. თავარიანმა, რომელიც აგრეთვე გურჯაანში იყო.

ლიდერობისთვის ბრძოლაში თავიდანვე დაწინაურდნენ ოსტატობის კანდიდატები ლ. კერნოჟიცკი (ბათუმი), გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) და გ. მუკნიაშვილი (გორი). მწვავე ბრძოლაში ისინი სხვებზე მეტი წარმატებით უმკლავდებოდნენ მეტოქეებს. ბიბილაშვილი პარტიას პარტიაზე იგებდა. მისი ტრიუმფალური სვლა შეაჩერა ჭაბუკმა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ვეფხიშვილმა, რომელმაც ფარ-ხმალი დააყრევინა ლიდერს. მიუხედავად ამისა, 13 ტურის შემდეგ რუსთაველ მოჭადრაკეს 9 ქულა აქვს. მუკნიაშვილი დამარცხდა კერნოჟიცკისთან და 7,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით ლიდერთა ტრიუმვირატშია. კერნოჟიცკის 8,5 და 1 გადადებული პარტია აქვს.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან გურჯაანელი კ. დურგლიშვილი (7 ქულა), ვეფხიშვილი, ქუთაისელი თ. ხარლამიდი და წითელწყაროელი ნ. ლობჟანიძე — 6,5-6,5.

ახალგაზრდები ძალასა და მონდომებას არ იშურებენ, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნით. ჩვენ ვეფხიშვილისა და ხარლამიდის რამდენიმე პარტია ვნახეთ. ვეფხიშვილი დიდოსტატ პ. კერესის სისტემებს თამაშობს, მაგრამ რთულ პრობლემებს ჯერჯერობით სათანადოდ ვერ წყვეტს. ხარლამიდიც ნიჭიერი მოჭადრაკეა, ოღონდ სიმტკიცე აკლია.

ოსტატობის კანდიდატებს დ. ექვთიმიშვილსა (საგარეჯო) და ე. ფხაკაძეს (ქუთაისი), პირველთანრიგოსნებს ბ. გვენცაძეს (თელავი) და ბ. გოგოლაძეს (ახალციხე) 6-6 ქულა დაუგროვდათ, ოღონდ ექვთიმიშვილს კიდევ 2 გადადებული პარტია აქვს. თიანეთელმა ვ. ჭრელაშვილმა 5,5 ქულა მოაგროვა.

ჩვენ დავესწარით XIII ტურს და რამდენიმე პარტია მოგვეწონა. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გვენცაძემ დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა დაცვაში, როცა მისი მეფის პოზიციას ფხაკაძის ლაზიერი, ორი ეტლი და მხედარი დაესხნენ თავს. გვენცაძის გამარჯვება თავდადების ჯილდო იყო.

კარგი იყო რ. მანჯგალაძის (ასპინძა) შამათის ჩანაფიქრი კ. დურგლიშვილთან (გურჯაანი) პარტიაში. ბოლოს მაინც გურჯაანელის დაცვამ იმარჯვა.

ნახევარფინალის დამთავრებას 4 ტური აკლია. ფინიში ალბათ ცვლილებებს ვეღარ შეიტანს ფინალის სამი კანდიდატის ვინაობის გარკვევის საკითხში, მაგრამ ბრძოლა ნამდვილად ბოლომდე, დაძაბული იქნება.

გურჯაანში გულშემატკივრებსაც შევხვდით. შემოგვჩივლეს, ჭადრაკის კლუბი არა გვაქვსო.

— ერთხელ ზაფხულში მოგვცეს ოთახი, მაგრამ სექტემბერში, როცა სკოლებში სწავლა დაიწყო და საჭადრაკო მუშაობა უნდა გაშლილიყო, ისევ ჩამოგვართვეს, — გვიამბო კ. დურგლიშვილმა, პიონერთა სახლის საჭადრაკო წრის მწვრთნელმა.

როგორც გვითხრეს, მუსიკალური სასწავლებლის შენობა თავისუფლდება და გურჯაანელ ჭადრაკის მოყვარულებს იმედი აქვთ, რომ ერთ ოთახს მათაც გამოუყოფენ.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გურჯაანი.

ჩვენი [illegible]

ავიაქარხანა — მონადირეებს

ტაშკენტი. ჩკალოვის სახელობის ავიაქარხანამ დაიწყო... ნავების გამოშვება. ალუმინისგან დამზადებული მსუბუქი, ორნიჩბიანი ნავები განსაკუთრებით მოსახერხებელია მონადირეებისთვის.

ნავი შეიძლება დაიკეცოს და მანქანის საბარგულში ჩაიდოს.

ციგებით უკტუსის მთებიდან

სვერდლოვსკი. ამ ქალაქის მახლობლად, უკტუსის მთებში გაიხსნა საციგაო ტრასა, რომელიც პირველია ურალში. 300-მეტრიანი ყინულის არხი ციცაბო ვირაჟებით ააგეს საციგაო სპორტის ენთუზიასტებმა თავიანთ მწვრთნელთან გ. უზკიხთან ერთად.

ტრასა საათში 60 კმ-მდე სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა.

უკვე ჩატარდა პირველი შეჯიბრებები. გაიმარჯვეს სვერდლოვსკის აეროპორტის მუშაკმა ლ. კრილოვამ და სამედიცინო პრეპარატების ქარხნის ზეინკალმა ი. მიაკონკიხმა.

ჩემპიონები სოფლად

ომსკი. ირტიშისპირეთის სოფლებში სულ უფრო ხშირად ეწყობა საინტერესო შეჯიბრებები. სოფლის სპორტულ დარბაზებში გამოდიან მსოფლიო ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში გ. შუგუროვა, მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ვ. იგუმენოვი, მათი თანაქალაქელები — მძლეოსნები, მოკრივეები, კალათბურთელები, ველოსიპედისტები, მოთხილამურეები.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა ომსკელი სპორტსმენების კარგ თაოსნობას, დაეხმარა მათ სოფლად გამოსვლების საინტერესო პროგრამის შედგენაში.

სპორტული „ზურმუხტი“

ირკუტსკი. ანგარის მარცხენა ნაპირზე გაჩნდა ახალი სპორტული კომპლექსი, რომელსაც სახელად „ზურმუხტი“ ჰქვია. ესაა 25-მეტრიანი საცურაო აუზი ექვსი ბილიკით და ორი სპორტული დარბაზი.

კომპლექსი აგებულია გეოლოგებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე მუშაობენ. ქალაქში დაბრუნებულ გეოლოგებს შეუძლიათ სპორტის საყვარელ სახეობებში თითქმის „წარმოებისგან მოუწყვეტლივ“ ივარჯიშონ: შენობა, სადაც ისინი ზამთრის კამერალურ სამუშაოებს ეწევიან, სწორედ სპორტული კომპლექსის გვერდით მდებარეობს.

ჭადრაკი... ტელეგრაფით

იაკუტსკი. იაკუტიისა და მაგადანის ოლქის მოჭადრაკეები ატარებენ უჩვეულო მატჩს ორ პარტიად. ყოველ ორ დღეში ტელეგრაფით გადაიცემა სვლები. საუკეთესო ვარიანტებს ეძებს ათასობით მოჭადრაკე, რომლებიც გაზეთების — „სოციალისტიჩესკაია იაკუტიასა“ და „მაგადანსკაია პრავდას“ კლუბებში არიან გაერთიანებული.

ვარაუდობენ, რომ მატჩი ხუთ თვემდე გასტანს.

ახალი ამბები—71

● **ბუქარესტი**, 8 თებერვალი. აქ გაიმართა ახალგაზრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა რსფსრ-ის ნაკრები. პირად ტურნირში საუკეთესონი აღმოჩნდნენ: უნგრელი ლ. იამბოვიჩი (63 კგ-მდე), მაიკოპელი ვ. ნევზოროვი (70 კგ-მდე), რუმინელი ი. ლაზერი (80 კგ-მდე), უნგრელი ფ. ვარგა (93 კგ-მდე), კრასნოიარსკელი ო. ვოკულენკო (93 კგ-ს ზევით). რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთაგან II ადგილი დაიკავა ელექტროსტალელმა ა. ვოლოსოვმა (80 კგ-მდე), ხოლო III — ჩელიაბინსკელმა ვ. პოპოვმა (93 კგ-მდე).

● **სევეროდონეცკი**, 4 თებერვალი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ქალთა შორის საუკეთესოთა კვარტეტი შეადგინეს 17 წლის მოსკოველმა ე. გრანატუროვამ (მან სძლია თბილისელ ნ. თუხარელს), 18 წლის ბაქოელმა ე. ბირიუკოვამ, მოსკოველმა ე. იზოპაიტისმა და თბილისელმა ა. ივანოვამ. ვაჟთა ნახევარფინალური შეხვედრები მოსკოვ — ტალინის ერთგვარი მატჩი იქნება: ვ. კოროტკოვი — პ. ლამპი, ა. ვოლკოვი — თ. ლეიუსი. წყვილთა ასპარეზობის ნახევარფინალებშიც ცნობილი ჩოგბურთელები გამოვლენ: ლენინგრადელი ა. ივანოვი, ბაქოელი ხ. ლიხაჩოვი, ალმაათელი მ. კროშინა და სხვ. ფინალური შეხვედრები შაბათსა და კვირას გაიმართება.

● **კოპენჰაგენი**, 4 თებერვალი. ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხე ნახევარფინალისტიც გამოვლინდა: ესაა „ჰგ კოპენჰაგენი“, რომელმაც მეორე მატჩში თავის მოედანზე ანგარიშით 10:6 (5:4) დაამარცხა ტიმიშოარის უნივერსიტეტის გუნდი. პირველი მატჩი რუმინელებმა მოიგეს —14:10. ამრიგად, ორივე გუნდმა თითო ქულა დააგროვა და ბურთების ბალანსიც ერთნაირი აღმოაჩნდათ — 20:20. დებულების თანახმად, უპირატესობა მიეკუთვნათ დანიელებს, რომლებმაც მეტოქის მოედანზე მეტი ბურთი გაიტანეს. როგორც ცნობილია, თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „სპარტაკი“, უნგრეთისა და გფრ-ის ჩემპიონები.

● **მოსკოვი**, 4 თებერვალი. ყინულზე მოტორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი „500-ანების“ კლასში დღეს ადგილობრივი „დინამოს“ სტადიონის ბილიკზე ლუხოვიცელმა მრბოლელმა ა. შჩერბაკოვმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. ციბროვი (ლუხოვიცი), ვ. მოისეევი (მოსკოვი) და გ. მარკატანოვი (ლენინგრადი). 7 თებერვალს ამავე „დინამოს“ სტადიონზე გამოვლინდება ოთხი მრბოლელი, რომლებიც ჩემპიონის წოდებისთვის განაგრძობენ ბრძოლას. კიდევ 12 პრეტენდენტი გამოვლინდება ლენინგრადში, კუიბიშევსა და უფაში გამართულ ნახევარფინალურ სერიებში. ჩემპიონის წოდებას უძლიერესები 14 თებერვალს შეეცილებიან ერთმანეთს მოსკოვში.

● **სლავსკი**, 4 თებერვალი. კარპატის მთებში საბჭოთა კავშირის თასისთვის მოასპარეზე სამთომოთხილამურეებს ცუდი ამინდი დაესწროთ. აქ გამართული შეჯიბრება „კარპატის თასზე“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი ეტაპი გახლდათ. „კარპატის პრიზი“ მხოლოდ სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში გაითამაშეს, ვინაიდან სველი თოვლის გამო სწრაფდაშვება არ შედგარა. კარგად იასპარეზა მოსკოველმა გ. შიხოვამ, რომელმაც ორივე სახეობა მოიგო. ვაჟთა შორის სპეციალურ სლალომში ერთნაირი შედეგით ყველას აჯობეს მინსკელმა ხ. პენიდინმა და ბაქოელმა გ. ჯიჩოევმა.

საუბარი ფეხბურთზე

3 თებერვალს საქართველოს ფილარმონიის შენობაში გაიმართა თბილისის ფეხბურთის აქტივის კრება.

მოხსენებით გამოვიდა ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლობჟანიძე.

სიტყვებით გამოვიდნენ გ. კაჩალინი, ო. კალაძე, ო. ჟორდანია, ვ. შავდია, გ. ბაქანიძე, მ. კალანდაძე და სხვ.

მოხდა ქალაქის შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება.

რეგბი მწვავე მომენტებითაა აღსავსე.

ს. ელიგარაშვილის ფოტო.

გაუგონარი სენსაცია

სპორტულ სამყაროს ამ დღეებში ელვის სისწრაფით მოედო არნახული, გაუგონარი სენსაცია, რომლის მსგავსს მძლეოსნობის ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გაიხსენებს. ახლა ამაზე ლაპარაკობს ამერიკის რადიო, ლაპარაკობს პრესა, იბეჭდება ფოტოსურათები, უამრავი ინტერვიუ და ა. შ.

მართლაც, გაუგონარი ამბავია. კაცმა, თანაც საკმაოდ ხანდაზმულმა სპრინტისთვის, რომელიც პირველად გამოდიოდა შეჯიბრებაში, დაამარცხა მსოფლიოში აღიარებული მორბენლები, თანაც, საქმე მარტო აღიარებაში როდია. დამარცხებულთა შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი და მისი რანგის მორბენლები.

მაგრამ სჯობს მკითხველებს წარვუდგინოთ ინფორმაცია, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში“:

„... ეს განსაცვიფრებელი ახალბედა. — ამ სიტყვებს იმეორებდნენ გაოგნებული ამერიკელი სპრინტერები, მსოფლიო ელიტის წარმომადგენელნი მოკლე დისტანციებზე რბენაში, კოლეჯ-პარკში (მერილენდის შტატი) გამართული შეჯიბრების შემდეგ. ამბობენ, რომ როცა ამ სტარტებამდე ერთი კვირით ადრე კითხეს მელ პენდერს, იცის თუ არა რამე ერთ-ერთ მონაწილეზე — ექიმ მერიუეზერზე, მან უარის ნიშნად გააქნია თავი. კოლეჯ-პარკში მომხდარი სენსაციის შემდეგ იგი კვლავ აქნევდა თავს, მაგრამ ახლა უკვე იმიტომ კი არა, რომ არ იცნობდა ახალბედას, არამედ იმიტომ, რომ გაიცნო იგი და დამარცხდა კიდეც მასთან.

87 წლის ექიმმა ყველა გარბენში 60 იარდზე (იარდი — 0,9144 მ) დაამარცხა ამერიკის უძლიერესი მორბენლები — მსოფლიო რეკორდსმენი ჩარლ გრინი, აშშ-ს ჩემპიონი ბენ ვოუნი, აივორ კროკეტი და მელ პენდერი, რომელმაც ერთ-ერთ წინასწარ გარბენში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ამ დისტანციაზე — 5,9 წამი.

მერიუეზერი ახალბედაა. საინტერესოა, რომ პირველი სტარტები მან აიღო ისე, რომ შარვლის სამაგრეები ეკეთა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლი ევანსმა ასე შეაფასა მისი მიღწევა: „ჩემს დღეში მსგავსი რამ არ მინახავს. მისი სტარტი საძაგელი სანახავი იყო. სასტარტო კალაპოტებიდან იგი მაღლა ახტა და ხელების უთავბოლო ქნევას შეუდგა ნაცვლად იმისა, რომ ტუმბოსავით ემუშავებინა იგი. ნამდვილი ფანტასტიკა იყო ის, თუ როგორ მოწყდა მერიუეზერი ჯგუფს. კარგი სტარტისას მას შეეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარებაც“.

მერიუეზერმა შარშან ზაფხულში ტელევიზიით ნახა მძლეოსანთა შეჯიბრების ტრანსლაცია და თავის მეუღლეს უთხრა: „მე შემიძლია ადვილად დავამარცხო ეს ბიჭები!“. მიატოვა რა ექსპერიმენტები თაგვებზე, იგი სარბენ ბილიკზე გამოვიდა. მერიუეზერის პირველი მწვრთნელი გახდა თარჯმორბენალი ნიკ ლი, რომელმაც ახალბედას თავისი სარბენი ფეხსაცმელი ათხოვა.

ახლა, ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო სპრინტერებზე გამარჯვების შემდეგ, ზანგმა ექიმმა მერიუეზერმა ახალი მიზანი დაისახა: გამოვიდეს 1972 წლის ოლიმპიადაში. ამჯერად — შარვლის სამაგრეების გარეშე...“

რა შეიძლება ითქვას ამ სენსაციაზე? დიდი ხანია სპორტულ სამყაროს არ სმენია ასეთი სენსაციური ცნობა. მართალია თუ არა ეს ამბავი? თუ ექიმ მერიუეზერის სიტყვები სინამდვილეს შეესაბამება, მალე დავრწმუნდებით. ოლიმპიურ თამაშებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა.

აღდგომა და ხვალაო.

1109 ოლიმპიური მედალი

მიუნხენი, 4 თებერვალი. 1972 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია უკანასკნელი შესწორებები. როგორც ცნობილია, ოლიმპიადა ბავარიის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნება 26 აგვისტოს და 10 სექტემბერს დაიხურება.

აქ გამოაცხადეს, რომ სპორტსმენები 21 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს და გაითამაშებენ 1109 ოლიმპიურ მედალს — ოქროსა და ვერცხლის 364-364 და ბრინჯაოს 381 მედალს.

ყველაზე ხანგრძლივი იქნება მოკრივეთა და ბალახის ჰოკეის მოთამაშეთა შეჯიბრებები — 13-13 დღე. ურთიერთობათა გარკვევისთვის ერთი დღით ნაკლები დასჭირდებათ ფრენბურთელებს. მძლეოსანთა და მოცურავეთა ტურნირები 9 დღეს გასტანს.

უკვე ასპარეზობის პირველ დღეს — 27 აგვისტოს გამოვლინდებიან ოლიმპიური ჩემპიონები ორ სახეობაში — ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში და უმჩატესი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში.

[illegible]

ფეხბურთის ამბები

ვადები დაინიშნა

ციურიხი, 4 თებერვალი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა 1972 წლის ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი შეხვედრების ვადები.

სსრ კავშირის ნაკრებს (უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პონომარიოვი) გათამაშების პირველ ეტაპზე 2 ივნისს საკუთარ მინდორზე მოუწევს თამაში ჰოლანდიის ნაკრებთან. განმეორებითი მატჩი შედგება 16 ივნისს. I შესარჩევ ჯგუფში შედიან, აგრეთვე, საფრანგეთისა და ისლანდიის, ლუქსემბურგისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები.

ამ წყვილებში გამარჯვებულნი სსრ კავშირის ან ჰოლანდიის გუნდთან ერთად ერთმანეთში ჩაატარებენ წრიულ ტურნირს 16 საუკეთესო ოლიმპიური გუნდის-ფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლებისთვის.

კურსი — სამხრეთ ამერიკა

ოკეანის გაღმა, სამხრეთ ამერიკისკენ გაემგზავრა 3 თებერვალს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ახალი მწვრთნელის — სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ნიკოლაევისა და მისი თანაშემწის — სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. პარამონოვის ხელმძღვანელობით. აქ საბჭოთა ფეხბურთელები თავიანთი მზადების პირველ ეტაპს გაივლიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის. ამ შეხვედრებიდან პირველი, როგორც ცნობილია, 30 მაისს შედგება მოსკოვში ესპანეთის ნაკრებთან.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ე. ბანიკოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ლ. შმუცი (ცსკა), ვ. ოლეინიკი („სპარტაკი“, ორჯონიკიძე); დაცვა — რ. ძოძუაშვილი („დინამო“, თბილისი), ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი, მ. პლახეტკო, ა. შესტერნიოვი (ყველა — ცსკა), ე. ლოვჩევი („სპარტაკი“, მოსკოვი); ნახევარდაცვა — ნ. დოლგოვი, ვ. ფედოტოვი (ორივე — ცსკა), ნ. კისელიოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. მუნტიანი („დინამო“, კიევი), ი. კულჩიცკი („კარპატი“, ლვოვი); თავდასხმა — ვ. დუდარენკო, ბ. კოპეიკინი (ორივე — ცსკა), გ. ევრიუჟიხინი, ვ. ეშტრეკოვი (ორივე — „დინამო“, მოსკოვი), გ. ნოდია („დინამო“, თბილისი), ვ. შევჩენკო („ნევთჩი“, ბაქო).

ნავარაუდევია, რომ საბჭოთა ნაკრები სამხრეთ ამერიკაში ექვს მატჩს ჩაატარებს. პირველი შედგება 7 თებერვალს ლიმაში პერუს საუკეთესო გუნდთან — „კრისტალთან“.

შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები გამოვლენ კოსტა-რიკაში, პანამაში, სალვადორსა და მექსიკაში.

ევროპული, შესარჩევი...

განახლდა ევროპის III ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები. საკმაოდ ძნელ გამარჯვებას მიაღწია მალტის ნაკრებთან შეხვედრაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა — ინგლისის ეროვნულმა გუნდმა — 1:0. ეს ერთადერთი გოლი 35-ე წუთზე გაიტანა პიტერსმა.

ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ გამოიყვანა ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ბოლო 10 წლის მანძილზე.

ლიეჟში ბელგიის ნაკრებმა მოუგო შოტლანდიის ფეხბურთელებს — 3:0 (1:0) და 4 ქულით 4 შესაძლებლიდან სათავეში ჩაუდგა V შესარჩევ ჯგუფს. ამ მატჩში მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა ვან ჰიმსტმა, რომელმაც 2 გოლი გაიტანა. მესამე გოლის ავტორი, მაგრამ უკვე საკუთარ კარში, პირველ ტაიმში იყო მაკ-კინონი. ამ ჯგუფში II ადგილი უკავიათ პორტუგალიელებს, რომლებმაც ოქტომბერში სტუმრად მოუგეს დანიელებს — 1:0.

სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეები IV შესარჩევ ჯგუფში — ჩრდილოეთ ირლანდიისა და კიპროსის ფეხბურთელები ერთმანეთს შეხვდნენ ნიქოზიაში. მატჩის წინ კოკისპირულად წვიმდა, რამაც საგრძნობლად გაართულა თამაშის პირობები. ირლანდიელთა უპირატესობა აშკარა იყო მეორე ტაიმში (პირველი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0). შესვენების შემდეგ დუგანმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში, ხოლო გამარჯვება განამტკიცა ბესტმა — 3:0.

1971 წელს ევროპის 8 შესარჩევ ჯგუფში გაიმართება 68 მატჩი. მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსები ჯერჯერობით აქვს, სულ ცოტა, მონაწილეთა ნახევარს. ესენი არიან: რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის (I ჯგუფი), უნგრეთისა და საფრანგეთის (II ჯგუფი), შვეიცარიისა და ინგლისის (III ჯგუფი), ესპანეთის, სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის (IV ჯგუფი), ბელგიისა და პორტუგალიის (V ჯგუფი), იტალიისა და შვეციის (VI ჯგუფი), გდრ-ისა და იუგოსლავიის (VII ჯგუფი), გფრ-ისა და პოლონეთის (VIII ჯგუფი) გუნდები.

კალათბურთის ფარებთან

მართალია, ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდმა გუშინწინ სოფიაში წააგო საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ადგილობრივ „აკადემიკთან“ (78:81), მაგრამ ერთი კვირის წინ მოსკოვში დიდი ანგარიშით (95:74) გამარჯვების წყალობით მან წარმატებას მიაღწია. მოსკოველებს ორი მოგება აქვთ: მადრიდის „რეალთან“ და ბულგარელ სპორტსმენებთან, რაც მათ ნახევარფინალში თამაშის უფლებას აძლევს.

ბოლო შეხვედრაში ჩინებულად ითამაშა ბელოვმა, რომელმაც თავის გუნდს 22 ქულა მოუტანა. მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო გოლომეევი — 28 ქულა.

ცსკა-ს კონკურენტებმა — „რეალმა“ და ლიეჟის „სტანდარდმა“ საპასუხო მატჩი ფრედ 79:79 დაამთავრეს, მაგრამ ესპანელებმა შინ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 103:71.

სხვა ჯგუფში პრაღის „სლავიამ“ საკუთარ მოედანზე დამატებით დროში სძლია იუგოსლავიის „ოლიმპიას“ (ლიუბლიანა) — 101:78. ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 85:67, რამაც მხოლოდ გაათანაბრა მდგომარეობა, ვინაიდან პირველი მატჩი იუგოსლავიელებმა ასეთივე სხვაობით მოიგეს (76:58).

თასის ახლანდელმა მფლობელმა — იტალიის „ინისმა“ კვლავ დაამარცხა საფრანგეთის ქალაქ ანტიბის „ოლიმპიკი“ — 95:65. ცსკა-ს მსგავსად იტალიელებსაც ორი გამარჯვება აქვთ, რაც პრაქტიკულად მათ ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ლენინგრადის „სპარტაკმა“ ანგარიშით 63:59 დაამარცხა იუგოსლავიის „ზადარი“. საპასუხო მატჩი — 11 თებერვალს ლენინგრადში.

ლენინგრადის „სპარტაკსა“ და „ზადარს“ შორის გამარჯვებულის მომავალ მეტოქეს ბულგარეთის „ბაკანისა“ და ესპანეთის „ხუვენტუდის“ დუელი გამოავლენს. ბოტევგრადში გამართულმა პირველმა მატჩმა წარმატება მასპინძლებს — ბულგარელებს მოუტანა — 88:62.

აი, ორი სხვა მეოთხედფინალური შეხვედრის შედეგები: „ლეგია“ (ვარშავა) — „ფიდესი“ (ნეაპოლი) 75:84, „სიმენტალი“ (მილანი) — „ჰაპოელი“ (თელ-ავივი) 107:74.

დღის წესრიგშია საუკუნის მატჩი

8 ან 10 მარტს გაიმართება პროფესიული კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამაღელვებელი მატჩი: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს შეეცილებიან ამ ტიტულის ახლანდელი მფლობელი ჯ. ფრეზერი და ექს-ჩემპიონი კ. კლეი. ეს იქნება ოთხწლიანი დრამის ბოლო აქტი, რომელიც კლეის საშუალებას მისცემს დაიბრუნოს არასპორტული გზით ჩამორთმეული წოდება და დაამტკიცოს, რომ შავი ამერიკის კერპი კვლავ ჩვენი პლანეტის საუკეთესო მოკრივეა.

კლეი, ისევე როგორც მისი მომავალი მეტოქე, სერიოზულად ემზადება მატჩისთვის და ღრმადაა დარწმუნებული, რომ ბედი არც ამჯერად უღალატებს. ქვორისთან და ბონავენასთან გამარჯვებამ მას კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა.

კასიუს მარცელიუს კლეი დიდ რინგზე პირველად 1960 წელს გამოჩნდა. მან დამაჯერებლად მოიგო რომის ოლიმპიური თამაშები ქვემძიმე წონაში. შემდეგ კლეი პროფესიონალებში გადავიდა და იმავე წლის 29 ოქტომბერს ჩაატარა პირველი ბრძოლა პროფესიულ რინგზე. კლეიმ იმ დღეს ლუისვილში ნოკაუტით მოუგო თავის თანამემამულეს ჰუნსეიკერს. 1967 წლის 22 მარტამდე მან არ იცოდა, რა არის მარცხი. მაგრამ მებრძოლი ვიეტნამისადმი სოლიდარობისთვის ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა არნახული ფარსი გაითამაშეს და ჩემპიონი ციხეში გაგზავნეს.

ახლა კლეი კვლავ რინგზეა, წარმატებით იბრძვის და გულმოდგინედ ემზადება საუკუნის მატჩისთვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროფესიულ რინგზე კლეიმ 31 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო, მათ შორის, 25 — ნოკაუტით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

6

უე 08447